

ნ 26/1690 PX 4918/1.



ღურჯი მონასტერი  
Лурджи Монастери



საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს  
კულტურის ძეგლთა დაცვისა და  
რესტავრაციის სამმეთა სამმართველო

თბილისის „ლურჯი მონასტერი“  
(XII ს. მიწურული)

„ლურჯი მონასტერი“ დგას მტკვრის მარჯვენა ნაპირზე სანაპირო ქუჩის თავზე, ვაჟა ფშაველასა და ნიკო ნიკოლაძის ქუჩების შესაყართან.

ძეგლმა თავისი სახელწოდება იმ მოტიქული, ლურჯი ფერის ფილებისაგან მიიღო, რომელიც მისი სახურავისათვის გამოუყენებიათ ოდესღაც.

თამარის მეფობის დროს აშენებული (XII ს. მიწურულში) ეკლესია, აშუშად მთლიანად ერთდროულ ნაგებობას აღარ წარმოადგენს: მის კორპუსზე გარკვევით განიჭრება სხვადასხვადროინდელი ფენები.

თავდაპირველად ზოგადი ასახულობითა და გეგმის მიხედვით „ლურჯი მონასტერი“ XII—XIII საუკუნეთა მიჯნაზე აგებულ ქართული გუმბათოვანი ტაძრების ჯგუფთან იდგა ახლოს (ბეთანია, იკორთა, ქვათახევი და სხვ.). მაგრამ მტრის მიერ დაზიანების შედეგად შეკეთების დროს (XVI—XVIII საუკუნეთა შორის) ეკლესიამ საფუძვლიანი გადაკეთება განიცადა: მთელი შინაგანი სივრცე სამ ნავად დაიყო — ბაზილიკის მსგავსად. ამასთანავე, გვერდის ნაგები ნახევარკამარებით გადახურეს და სამივე ნავი საერთო, ორქანობიანი სახურავის ქვეშ მოაქციეს. უკანასკნელი აღდგენითი სამუშაოების ჩატარების დროს 1878 წელს ფრონტონები და გუმბათი დააშენეს ეკლესიას. ამის შედეგად მთლიანად ნაგებობამ ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებისათვის უჩვეულო სახე მიიღო. მაგრამ ეკლესიის გეგმა ძირითადად შემონახულია ჩვენამდე. იგი წარმოადგენს წაგრძელებულ სწორკუთხედს ორ თავისუფლად მდგომ, რვაწახნაგიან გუმბათქვეშა ბურჯებით. ნახევარწრიულ აბსიდში სამი სარკმელია განლაგებული. აბსიდი აღმოსავლეთის ფასადზე რამდენადმე გამოშვერილია, რითაც „ლურჯი მონასტერი“ მის მსგავს ძეგლთა ჯგუფისაგან განსხვავდება. ჩრდილოეთით და სამხრეთით აბსიდი მართკუთხა სათავსოებით — სამკვეთლოთი და საღვინეთითა აღჭურვილი. ეკლესია შიგნით მთლიანად შეღესილია. ფასადებზე მკვეთრად განიჭრება ორი განსხვავებული ფენა:

ძველი წყობა თლილი ქვით შესრულებული და აღდგენილი ნაწილები აგურით ნაწყობი. დღეს ყურადღებას იმსახურებს მხოლოდ ცალკეული, ძველი ფრაგმენტები: კედლების ქვემოთა ნაწილები ცოცოლის ჩათვლით, აღმოსავლეთის სარკმელთა ორნამენტაცია და ტიმპანის გაფორმება მთავარი სამხრეთის შესასვლელის ზემოთ. ჩუქურთმების მოტივები მსგავსებას პოულობს XII ს. დასასრულისა და XIII ს. დასაწყისის სხვა ძეგლებში, მაგრამ შესრულების ხარისხით საგრძნობლად ჩამოუვარდება მათ. ცხრაბატრიქონიანი, ასომთავრული წარწერა ტიმპანის ფილაზე გვაცნობებს, რომ ეკლესია აშენებულია „ბასილი, ქართლისა მთავარეპისკოპოს-ყოფილის“ მიერ, რომელიც ძმა იყო თამარ მეფის დროინდელი ცნობილი პოლიტიკური მოღვაწისა — აბულასანისა.

ავტორი ვ. დოლიძე რედაქტორი ზ. ძნელაძე

სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“  
1959

უე 03335. ტირაჟი 5000. შეკვ. № 279. ფასი 75 კაპ.

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი,  
მარჯანიშვილის ქ., 5.

УПРАВЛЕНИЕ ПО ДЕЛАМ ОХРАНЫ И  
РЕСТАВРАЦИИ ПАМЯТНИКОВ КУЛЬТУРЫ  
МИНИСТЕРСТВА КУЛЬТУРЫ  
ГРУЗИНСКОЙ ССР

«ЛУРДЖИ МОНАСТЕРИ»

(Синий монастырь)  
конец XII века

Церковь «Лурджи Монастери» (по-грузински — синий монастырь), получившая свое название от использованных когда-то для ее крыши синих глазурованных плит, находится в центральной части Тбилиси. К «Лурджи Монастери» ведут улицы Важа Пшавела и Нико Николадзе, у стыка которых раскрывается подход к территории церкви, поставленной на высоком, правом берегу Куры, над нынешней набережной.

Возведенная в царствование царицы Тамары, в конце XII века, «Лурджи Монастери» в настоящее время уже не представляет целиком одновременную постройку: в ней определенно различают разновременные строительные слои.

В своем первоначальном виде Лурджи Монастери по плану и по общему решению был близок к группе известных грузинских купольных храмов, построенных на грани XII — XIII веков (Икорта, Кватахеви, Бетания и др.). Но после значительных повреждений, иноземными захватчиками Лурджи Монастери подверглась при ремонте в прошлом столетии основательной перестройке. Все внутреннее пространство церкви разделили на три нефа наподобие базилики. Причем, боковые нефы были перекрыты полусводами, и все три нефа были забраны под общую двускатную крышу.

При последних восстановительных работах в 1873 г. надстроили фронтоны и купол, в результате чего сооружение в целом приобрело необычный для памятников грузинской архитектуры облик. Но план церкви в основном сохранился и до наших дней. Он представляет собой продолговатый четырехугольник с двумя свободно стоя-

щими восьмигранными подкупольными столбами. Полукруглая алтарная абсида, снабженная тремя окнами, незначительно выступает на восточном фасаде — черта, отличающая «Лурджи Монастери» от группы схожих с ней памятников. С северной и южной сторон абсида снабжена диаугольными помещениями — ризницей и диаконником. Внутри церковь вся оштукатурена.

На фасадах четко выделяются два различных слоя: древняя кладка из тесаных камней и восстановленные части стен из кирпича.

В настоящее время внимание заслуживают лишь отдельные древние сохранившиеся фрагменты, нижние части стен, включая цоколь, орнаментация восточных окон и оформление тимпана над главным южным входом. Мотивы резьбы находят аналогии в орнаментации других памятников конца XII и начала XIII веков, однако по качеству исполнения значительно уступают им.

Девятистрочная надпись на тимпанной плите, исполненная древнегрузинским письмом «асомтаврули» сообщает, что церковь построена «бывшим картлийским архиепископом Василием» — братом известного политического деятеля времен царицы Тамары — Абуласана.

Автор В. Долидзе. Редактор З. Дзnelадзе

Государственное издательство  
«Сабчота Сакартвело». 1959

УЭ 03335. Тираж 5000. Зак. № 279. Цена 75 к.

Комбинат печати. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.